

## ქართული ენა და ლიტერატურა

1. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

- ა) ბიჭი მარტო დარჩა და მწარედ ატირდა.
- ბ) ვახშამი უხალისოდ გრძელდებოდა.
- გ) უნებლიედ მათი საუბარი გავიგონე.
- დ) ცხოვრება დუნედ მიედინებოდა.

2. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება *ხელი შეუწყო*?

- ა) გართობას.
- ბ) დამშვიდებას.
- გ) დახმარებას.
- დ) მოწონებას.

3. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება *თვალები დააწყდა*?

- ა) გაბრაზებას.
- ბ) დარდს.
- გ) მოლოდინს.
- დ) შურს.

4. *უფხო* გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს:

- ა) უნიჭოს.
- ბ) უპოვარს.
- გ) უუნაროს.
- დ) უჭკუოს.

5. *ჯიუტი* ადამიანი არის:

- ა) კერპი.
- ბ) კუმტი.
- გ) უბირი.
- დ) უკმეხი.

6. რომელი სიტყვა არის *დაბურულის* სინონიმი.

- ა) უკმეხი.
- ბ) უკუნი.
- გ) უნაყოფო.
- დ) უღრანი.

7. რაც წითლად ელვარებს, არის:

- ა) კრიალა.

- ბ) ქათქათა.
- გ) ლაჟღაჟა.
- დ) ჩახჩახა.

8. გადატანითი მნიშვნელობით *უბერხელო* ნიშნავს:

- ა) უბედურს.
- ბ) უნიჭოს.
- გ) უპრინციპოს.
- დ) უხასიათოს.

9. რომელ შესიტყვებათა წყვილშია გამოყენებული *ომონიმები*?

- ა) ბატის ფრთა - თვითმფრინავის ფრთა.
- ბ) მთის წვერი - ნემსის წვერი.
- გ) ცივი მზერა - ცივი ქარი.
- დ) ღამის ბარი - ბასრი ბარი.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა ქართულისათვის უფრო ბუნებრივი?

- ა) მერია აწარმოებს ავარიული სახლების შემოწმებას.
- ბ) მერია ახდენს ავარიული სახლების შემოწმებას.
- გ) მერიამ გადაწყვიტა ავარიული სახლების შემოწმება.
- დ) მერიის მიერ წარმოებს ავარიული სახლების შემოწმება.

11. რომელია არასწორი ფორმა?

- ა) გავთავისუფლდი.
- ბ) გავნთავისუფლდი.
- გ) განვთავისუფლდი.
- დ) განთავისუფლება.

12. რომელია არასწორი?

- ა) აცვიფრებს.
- ბ) ანცვიფრებს.
- გ) განაცვიფრებს.
- დ) განცვიფრება.

13. რომელ წინადადებაშია სინტაქსური შეცდომა?

- ა) სპორტის ამ სახეობით არაერთი მოზარდი დაინტერესდა.
- ბ) სპორტის ამ სახეობით მრავალი მოზარდი დაინტერესდა.
- გ) სპორტის ამ სახეობით სხვა მოზარდებიც დაინტერესდნენ.
- დ) სპორტის ამ სახეობით ბევრი მოზარდები დაინტერესდნენ.

**14. რომელია არასწორი?**

- ა) ახალ თაობას.
- ბ) ახალ თაობის.
- გ) ახალი თაობის.
- დ) ახალი თაობების.

**15. რომელ წინადადებაში არ არის სწორად დასმული სასვენი ნიშანი?**

- ა) სტუმარს როგორც ჩანს, ბევრი არ იცნობდა.
- ბ) სამწუხაროდ, მატარებელი ხვალ დილამდე აღარ გადიოდა.
- გ) საბედნიეროდ, ჩვენთვის საინტერესო ცნობა აღმოჩნდა მწერლის არქივში.
- დ) დედა, რასაკვირველია, გაახარა შვილის წარმატებამ.

**16. რა ტიპისაა მოცემული წინადადება?**

ელისო, რომელიც წყაროსთან იჯდა, მწუხარებას ეძლეოდა.

- ა) მარტივი.
- ბ) შერწყმული.
- გ) რთული თანწყობილი.
- დ) რთული ქვეწყობილი.

**17. რა ტიპისაა მოცემული წინადადება:**

ამ ამბავს ისმენდა გლეხი, ყავარჯენზე დაყრდნობილი.

- ა) მარტივი.
- ბ) შერწყმული.
- გ) რთული თანწყობილი.
- დ) რთული ქვეწყობილი.

**18. რა ტიპისაა მოცემული წინადადება?**

როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო.

- ა) მარტივი.
- ბ) შერწყმული.
- გ) რთული თანწყობილი.
- დ) რთული ქვეწყობილი.

**19. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

I. ჩემს სოფლამდე 20 კილომეტრია. II. ჩემს სოფლამდე 20 კილომეტრია. III. ჩემს სოფლამდის 20 კილომეტრია.

- ა) მხოლოდ I-ში.
- ბ) მხოლოდ II-ში.
- გ) მხოლოდ III.
- დ) I-სა და III-ში.

**20. რომელია არასწორი ფორმა?**

- ა) გაუთიბავს.
- ბ) გაურეცხავს.
- გ) გაურიცხავს.
- დ) გაუცვითავს.

**21. რომელი ფორმა უნდა ჩავსვათ წინადადებაში:**

მათი მომავალი . . . მონდომებაზეა დამოკიდებული.

- ა) მათივე.
- ბ) მათსავე.
- გ) მათვე.
- დ) მათსვე.

**22. ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა ქართულისათვის უფრო ბუნებრივი?**

- ა) მეცნიერებმა სიმინდის ახალი ჯიშის გამოყვანა აწარმოეს.
- ბ) მეცნიერებმა სიმინდის ახალი ჯიშის გამოყვანა დაიწყეს.
- გ) მეცნიერებმა სიმინდის ახალი ჯიშის გამოყვანა მოახდინეს.
- დ) მეცნიერების მიერ სიმინდის ახალი ჯიშის გამოყვანა წარმოებს.

**23. რომელია სწორი ფორმა?**

I. წაუსვავს. II. წაუსვამს. III. წაუსვია.

- ა) მხოლოდ I.
- ბ) მხოლოდ II.
- გ) მხოლოდ III.
- დ) I და III.

**24. რომელია სწორი ფორმა?**

I. შეუწყვიტავს. II. შეუწყვეტავს. III. შეუწყვეტს.

- ა) მხოლოდ I.
- ბ) მხოლოდ II.
- გ) მხოლოდ III.
- დ) II და III.

**25. რომელია სწორი ფორმა?**

I. გაუკრეჭია. II. გაუკრეჭავს. III. გაუკრიჭავს.

- ა) მხოლოდ I.
- ბ) მხოლოდ II.
- გ) მხოლოდ III.
- დ) I და III.

26. გარდაცვალების წინ დედოფალმა შუშანიკმა თქვა: «უკუეთუ ღირს რაიმე ვარ უკუანაისკნელი ესე მეთერთმეტე მოქმედი ვენახისაი, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა».

**რა იგულისხმა შუშანიკმა, როდესაც თავი ვენახის მეთერთმეტე ჟამის მუშაკს შეადარა?**

- ა) შუშანიკის ღვაწლი მოკრძალებულია, ამიტომ ის თავს არ მიიჩნევს ღვთიური მადლის ღირსად.
- ბ) შუშანიკის ღვაწლი მოკრძალებულია, მაგრამ ღვთიური მადლი მასაც ისევე მიენიჭება, როგორც პირველმოწამეებს.
- გ) შუშანიკის ღვაწლი ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე განუზომლად დიდია, ისევე, როგორც პირველმოწამეებისა.
- დ) შუშანიკის ღვაწლი ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პირველმოწამეებისა.

27. გაიხსენეთ «აბო თბილელის წამება».

**მაჰმადიანთა აზრით, რატომ იყო აბოს დასჯა აუცილებელი?**

- ა) სხვა მაჰმადიანებს რომ არ მიეხამათ აბოსათვის.
- ბ) ქრისტიანებს აბო წმინდანად რომ არ შეერაცხათ.
- გ) ქრისტიანებს აჯანყებაზე რომ არ ეფიქრათ.
- დ) ხალხს რომ აბოს სახელიც კი აღარ ეხსენებინა.

28. გაიხსენეთ «აბო თბილელის წამება».

**რომელი ფრაზიდან ჩანს, რომ ავტორი პირადად იცნობდა აბოს?**

- ა) «აწ ვევედრებით ყოველნი შენსა ქრისტეს მოყვარებასა...»
- ბ) «მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო...»
- გ) «სანატრელითა მით ქრისტესმიერთა სიყუარულითა შემიყუარე მე...»
- დ) «უფროის გონებისა ჩემისა აღმადლდა ქებაი სათნოებათა შენთაი...»

29. გიორგი მერჩულის თხზულებაში «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება» ვკითხულობთ:

«ვიდრე მოსვლამდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა ცხოვარნი ქრისტისნი განზნულ იყვნეს სივრცესა მას უდაბნოთასა...»

**ვინ იგულისხმება სიტყვაში ცხოვარნი?**

- ა) ბერები
- ბ) ეპისკოპოსები
- გ) ქართველები
- დ) ქრისტიანები

30. **რის საფუძველზე დაწერა გიორგი მერჩულემ თავისი თხზულება «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება»?**

- ა) არსენ კათალიკოსისა და ეფრემ მაწყვერელის მონათხრობის საფუძველზე.
- ბ) გრიგოლის მოწაფეთა და მოწაფეთა მოწაფეების მონათხრობის საფუძველზე.
- გ) დედა ეფემიასა და აშოტ კურაპალატის ვაჟების მონათხრობის საფუძველზე.
- დ) პირადი ურთიერთობისა და თავად გრიგოლის მონათხრობის საფუძველზე.

**31. გაიხსენეთ «ვეფხისტყაოსანი».**

**რატომ თვლიდა ტარიელი, რომ უსამართლო იყო ფარსადანის გადაწყვეტილება - ინდოეთის ტახტზე ხვარაზმშას ძე მოეწვია?**

- ა) ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ინდოეთის მეშვიდე სამეფოს გადავცემო.
- ბ) ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ინდოეთის მთავარსარდლობას ვუბოძებო.
- გ) ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ტახტის მემკვიდრედ გავზრდიო.
- დ) ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ჩემს ქალიშვილს მივათხოვებო.

**32. გაიხსენეთ «ვეფხისტყაოსანი».**

**რატომ თვლიდა ნესტანი, რომ ტარიელმა მისთვის მიცემულ ფიცს უღალატა?**

- ა) ტარიელი ესწრებოდა თათბირს ნესტანის გათხოვების თაობაზე და თქვა, ინდოეთის მეშვიდე სამეფოს არ დავთმობო.
- ბ) ტარიელი ესწრებოდა თათბირს ნესტანის გათხოვების თაობაზე და მეფეს შეიარაღებული წინააღმდეგობით დაემუქრა.
- გ) ტარიელი ესწრებოდა თათბირს ნესტანის გათხოვების თაობაზე და მეფეს ხვარაზმშას ვაჟის ჩამოყვანა ურჩია.
- დ) ტარიელი ესწრებოდა თათბირს ნესტანის გათხოვების თაობაზე და მეფისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

**33. გაიხსენეთ «ვეფხისტყაოსანი».**

**რა მოსთხოვა ავთანდილმა ვაჭრებს იმის შემდეგ, რაც მეკობრეები დაამარცხა და მათ გზა გაუხსნა?**

- ა) დაემალათ, რომ არაბთა ჯარის სარდალი იყო და ვაჭარის ტანსაცმელი მიეცათ.
- ბ) დაემალათ, რომ თინათინის მიჯნური იყო და ფატმანთან მიეყვანათ.
- გ) დაემალათ, რომ რაინდი იყო და ერთ-ერთ რიგით ვაჭრად გამოეცხადებინათ.
- დ) დაემალათ, რომ რაინდი იყო და ვაჭართუხუცესად გამოეცხადებინათ.

**34. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის ლექსი «სწავლა მოსწავლეთა».**

**როდის გაიხარებს მევენახე («მწიდნავი»)?**

- ა) როდესაც ვენახს გასხლავს.
- ბ) როდესაც მოსავალს მოიწევს.
- გ) როდესაც ყურძენს დაწურავს.
- დ) როდესაც შრომას შეიმსუბუქებს.

**35. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში «ფიქრნი მტკვრის პირას» ვკითხულობთ:**

«თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?  
მისი სიცოცხლე - ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,  
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს  
თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს  
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..»

**რა არის «კეთილი მეფის» საზრუნავი?**

- ა) სახელის მოხვეჭა.

- ბ) სიკეთის მოხვეჭა.
- გ) სიმდიდრის მოხვეჭა.
- დ) ძალაუფლების მოხვეჭა.

**36. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი «პოეტი».**

*რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ილიას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი საგანგებო დანიშნულება?*

- ა) «მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო».
- ბ) «ვით ფრინველმა გარეგანმა».
- გ) «არა მარტო ტკბილ ხმათათვის».
- დ) «გამომგზავნა ქვეყნად ცამა».

**37. ილია ჭავჭავაძის ლექსში «ჩემო კალამო» ვკითხულობთ:**

*«ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?  
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,  
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში  
ბოროტთ საკლავად, - მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ».*

*რა თვისება უნდა ახასიათებდეს, ამ სტროფის მიხედვით, პოეტს?*

- ა) გამბედაობა.
- ბ) მიმტევებლობა.
- გ) ნიჭი.
- დ) სიმკაცრე.

**38. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა «აღუდა ქეთელაური».**

*ხევსურებმა უთხრეს ალუდას: «წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანიტა».*

*რა უპასუხა ალუდამ თანასოფლელებს?*

- ა) «ვაი ეგეთას სამართალს».
- ბ) «ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს».
- გ) «რად სწყრებიან ხევსურნი».
- დ) «საქმე მოგირთავ ავადა».

**39. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა «სტუმარ-მასპინძელი».**

*რა მოიმოქმედეს პირველ რიგში ქისტებმა, როდესაც ზვიადაურის სოფელში ყოფნის ამბავი შეიტყვეს?*

- ა) გაგზავნეს ჯოყოლასთან მზვერავი.
- ბ) ზვიადაური სასაფლაოზე წაიყვანეს.
- გ) მივარდნენ ზვიადაურის შესაპყრობად.
- დ) ჯოყოლას ხელ-ფეხი შეუკრეს.

**40. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა «სტუმარ-მასპინძელი».**

*თვითმკვლელობის წინ აღაზა ფიქრობდა, რომ მან და მისმა ქმარმა ქისტებს შესცოდეს.*

*რაში ადანაშაულებდა აღაზა საკუთარ თავს?*

- ა) ზვიადაურის დატირებაში.

- ბ) სამშობლოს დალატში.
- გ) ჯოყოლას მოტყუებაში.
- დ) ჯოყოლას დალატში.

**41. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა «ბახტრიონი».**  
**რა შესთავაზა კვირიამ ლელას?**

- ა) დაბრუნებულიყო სახლში მამის საპატრონოდ.
- ბ) მოტყუებით შეეღწიათ ბახტრიონის ციხეში.
- გ) ქართველთა ლაშქარს ადევნებოდნენ უკან.
- დ) ყეენისათვის ძვირფასი საჩუქარი მიერთმიათ.

**42. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში «სამანიშვილის დედინაცვალი» სალობერიძეებთან სტუმრობისას კირილემ მიმართა ჯიმშერს:**

«- ძალიან არ წუხს!.. ერთ უშვილო დედაბერს დეეებს სადედინაცვლოდ და მითხარით, ჩემგან რა შეწუხება მიჰყენებია... დავდევ უკან მეძებარვით!.. ეგებ, ბიძია, გეგულებოდეს სადმე უშვილო დედაბერი და ამ ყმაწვილს გული დოუშოშმინო!..»

**რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს კირილე პლატონის მიმართ?**

- ა) კირილე ამხიარულებს პლატონს.
- ბ) კირილე დასცინის პლატონს.
- გ) კირილე ზრუნავს პლატონზე.
- დ) კირილე თანაუგრძნობს პლატონს.

**43. ლეო ქიაჩელის მოთხრობაში «ჰაკი აძმა» ვკითხულობთ:**

«უჯუმ ემხას სისხლიანი ეპიზოდებით აღსავსე ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა მას მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა მოუხდა ისე, რომ თავისი ერთგული მიძიშვილი ჰაკი აძმა გვერდით არ ჰყავდა. ამიტომ ეგონა, თითქოს ეს ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ გულში გადარჩენის მტკიცე რწმენა არ ჰქონდა...»

**რა გრძნობა დაეუფლა უჯუმ ემხას?**

- ა) აფორიაქდა.
- ბ) გაბრაზდა.
- გ) განაწყენდა.
- დ) განცვიფრდა.

**44. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში «ჯაყოს ხიზნები» ვკითხულობთ:**

«ჯაყო თეიმურაზის მამულს გარს უვლიდა და, ვითარცა უპატრონო ქონებისა და თავისი ნაოფლარის კანონიერი მემკვიდრე, გააფთრებული გაჰკვიოდა: - ჩემია! ჩემია!»

**ჯაყოს რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?**

- ა) მოკრძალება.
- ბ) მომხვეჭელობა.
- გ) უპრინციპობა.
- დ) უსაქმურობა.



**45. გაიხსენეთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა «შელოცვა რადიოთი».  
რის გამო დაუთმო ბრომლეის თავისი ინდოელი მსახური ჰექსლიმ?**

- ა) ბრომლეიმ დიდი თანხა შესთავაზა ჰექსლიის.
- ბ) ბრომლეიმ ჰექსლიის აქციების ყიდვა გადაწყვიტა.
- გ) მსახურს სურდა ბრომლეისთან დარჩენა უკეთესი ანაზღაურების გამო.
- დ) მსახურს ჰექსლიისთან სამსახური აღარ სურდა.

**46. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი «დიდოსტატის მარჯვენა».  
რომელი ისტორიული რეალობა განაპირობებდა იმას, რომ «ამ მაგალითით დაშინებული ტფილისელი ამირაც გატვრინული იყო»?**

- ა) ბერძენთა კეისართან მტკიცე ზავი შეიკრა.
- ბ) მრავალგზის გვემული განძელი ფადლონი ხარკს აძლევდა მეფეს.
- გ) სარკინოზები ჯერ კიდევ ბოგინობდნენ შურის ციხეში.
- დ) წლის მიწურულამდის მშვიდობა სუფევდა საერისთავოებში.

**47. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი «დიდოსტატის მარჯვენა».  
რატომ არ დაიცვა არსაკიმე კათალიკოსმა მეფის სასჯელისაგან?**

- ა) გაიგო, რომ არსაკიმე ფხოველთა ამბოხში მონაწილეობდა.
- ბ) გაიგო, რომ კოლონკელიძის ასული უყვარდა დიდოსტატს.
- გ) გაიგო, რომ მკრეხელური სურათი დაეხატა დიდოსტატს.
- დ) გაიგო, რომ სვეტიცხოველი არ მოსწონდათ ბიზანტიელ ოსტატებს.

**48. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა».  
რისთვის არის საჭირო, ვასიკო კეჭერაძის აზრით, «კარცერ-ლუქსები»?**

- ა) ახალგაზრდობას გართობის საშუალება მიეცეს.
- ბ) ახალგაზრდობას ლიტერატურის კითხვა შეუყვარდეს.
- გ) ახალგაზრდობას მეცნიერული ინფორმაცია მიეწოდოს.
- დ) ახალგაზრდობას ცხოვრების ინტერესი გაუჩნდეს.

**49. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა».  
რატომ თვლის ვასიკო კეჭერაძე, რომ თამაზი «მისალოცი ადამიანია»?**

- ა) წინ ელის შედეგის პირველად წაკითხვის სიამოვნება.
- ბ) წინ ელის პირველი სიყვარულის ბედნიერებით ტკბობა.
- გ) წინ ელის მრავალი ეგზოტიკური ქვეყნის ნახვა.
- დ) წინ ელის სწრაფი და წარმატებული კარიერა.

**50. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა».  
რა საერთო აქვს ღვინის სმასა და კითხვას, ვასიკო კეჭერაძის აზრით?**

- ა) ორივე ბედნიერების განცდას ანიჭებს ადამიანს.
- ბ) ორივე ერთნაირად აბრუებს ადამიანის გონებას.
- გ) ორივეს ერთნაირად შეიძლება მიეჯაჭვოს პიროვნება.
- დ) ორივეს პიროვნული თავისუფლებისაკენ მივყავართ.

სწორი პასუხები

1.---- გ)	2.---- გ)	3.---- გ)	4.---- გ)	5.----- ა)	6.--- დ)	7.---- გ)	8.---- გ)	9. --- დ)	10.--- გ)
11.--- ბ)	12.--- ბ)	13.-- დ)	14.--- ბ)	15.--- ა)	16.-- დ)	17.--- ა)	18.-- დ)	19.--- ბ)	20.-- დ)
21.--- ბ)	22.--- ბ)	23.--- ბ)	24.--- გ)	25.--- ა)	26.--- ბ)	27.--- ა)	28.--- გ)	29.--- ა)	30.--- ბ)
31.--- გ)	32.-- დ)	33.-- დ)	34.--- ბ)	35.--- ა)	36.-- დ)	37.--- ა)	38.--- ა)	39.--- ა)	40.--- ა)
41.--- ბ)	42.--- ბ)	43.--- ა)	44.--- ბ)	45.--- ა)	46.--- ბ)	47.--- გ)	48.--- ბ)	49.--- ა)	50.-- დ)